# ხელშეკრულება №21

## გამარტივებული წესით შესყიდვების შესახებ

ქ. ქობულეთი 7 ოქტომბერი 2014 წელი

ერთის მხრივ შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება" (მის: ქ. ქობულეთი კოკოვის ქ №7) მისი დირექტორის ჯუმბერ ჭყონიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს ი/მ ვახტანგ მაკარაძის (მის: რუსთაველის ქ. №120) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების CPV50300000 (პერსონალური კომპიუტერების, საოფისო აპარატურის, საკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობის შეკეთება ტექნიკური მომსახურება) კოდით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

### 2. მიწოდებული საქონლის მიღება—ჩაბარება

2.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ.
2.2 სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

### 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება შემსყიდველის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2 მიმწოდებელი ვალდებულია სათანადო დოკუმენტზე მიუთითოს საქონლის რაოდენობა და წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სასაქონლო ზედნადები.
3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

### 4. ტექნიკური პირობა

4.1. მოწედებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხარისხობრივ მონაცემებს და პასუხობდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

### 5. საგარანტიო პირობები

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტს.
5.2. საქონლის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა შეადგენს 12 თვეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების დღიდან.
5.3. თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას გამოვლინდა დეფექტი ან/და ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

### 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ შემსრულებელის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4 ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზრაუროს მიმწოდებელს შესრულებული საქონლის ღირებულება.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

## 12.დასკვნითი დებულება

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

12.3 ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივე ეგზეპლარი იდენტურია და აქვს ერთნაერი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს ხელშეკრულელის ერთი ეგზემპლარი.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება" | ი/მ ვახტანგ მაკარაძე |
| ს/კ: 246952524 | ს/კ: 61004015142 |
| მის: პოპოვის ქ. №7 | მის: რუსთაველის ქ. №120 |
| სს „ლიბერთი ბანკი" | სს „საქართველოს ბანკი" |
| ანგ. № GE35LB0113116913381000 | ანგ. № GE70BG0000000179823000GEL |
| ბ/კ LBRTGE22 | ბ/კ BAGAGE22 |
| დირექტორი: ____________ /ჯ. ჭყონია/ | ____________ /ვ. მაკარაძე/ |